


ვახტანგ
ჭავჭავაძე

27 ბერძნოს
აუდი



დავით გოცირიძე

რედაქტორები: დოდო გოცირიძე, მაგდა საანიშვილი

კორექტორები: დარეჯან ჭანკოტაძე, ნათელა სანიკიძე

კომპიუტერული მომსახურება: შალვა მურადაშვილი

საკონტაქტო ტელეფონები:

- გოცირიძე დოდო, ქ. თბილისი, 221-69-88
- სანიკიძე ნათელა, ქ. თბილისი, 223-31-42
- ვახტანგ ჭანკოტაძე, ქ. გორი, 27-81-81; 593-621-756
- დარეჯან ჭანკოტაძე, ქ. თელავი, 23-40-30; 595-64-26-86

ვა, სოფელი, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზე გჭირდა!

უოვლი შენი მინდობილი
ნიაღაგმცა ჩემებრ ტირსა!

საღ წაიუვან საღაურსა,
საღ აღუფხვრი საღით ძირსა!

შოთა რუსთაველი

წინათქმა

2007 წელს, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ყოველ-კვირეულმა გამოცემამ „საპატრიარქოს უწყებანი“ (№38, 6-8 დეკემბერი, გვ. 19) გამოაქვეყნა ფრიად საინტერესო მასალა, მართლაც რომ გასაოცარი პიროვნებების, ცოლ-ქმარ მარიამ სოლომონის ასულ დათიაშვილისა და დავით სვიმონის ძე გოცირიძის შესახებ, რომლებმაც შვეს და აღზარდეს 27 (ოცდაშვიდი) შვილი!

კაცობრიობის ისტორია იცნობს უამრავ მრავალშვილიან ოჯახს, მაგრამ მოხსენიებული ფაქტი მართლაც ინვესტიციებს და იმავდროულად სიამაყის განცდასაც, რომ ჩვენი უნიკალური ქვეყანა მრავალშვილიანი ოჯახის თვალსაზრისითაც უდაოდ მიიპყრობს საყოველთაო ყურადღებას.

საქმე გვაქვს არა რამდენიმეცოდიან ან რამდენიმექმრიან შემთხვევა-ასთან, არამედ ერთ ისტორიულ წყვილთან, რომელმაც ქვეყანას მოუვლინა შვილების, მართლაც რომ, სარეკორდო რაოდენობა.

სამწესაროა, რომ ჩემთვის, როგორც მათი შვილიშვილისათვის, ისევე, როგორც საქართველოში, უკრაინასა და რუსეთში მცხოვრები საკმაოდ მცირერიცხოვანი მონაგარისათვის, ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი დავითისა და მარიამის, საგარაუდოდ, ასეულობით შთამომავლის ადგილსამყოფელის, პირადი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ.

სიტყვიერი გადმოცემებით ჩვენამდე მოღწეული ინფორმაცია მეტ-ყველებს იმაზე, რომ პირველი მსოფლიო ომის, ასევე ე.წ. ოქტომბრის რევოლუციისა და შემდგომში გასული საუკუნის 20-30-იან წლებში არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ თუ ფართომასშტაბი-ანმა რეპრესიებმა, რასაც დაემატა მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული მიგრაციული პროცესები, გამოიწვიეს გოცირიძეთა დიდი ოჯახის წევრთა მიმოფანტვა საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში და მათი კვალიც თითქმის სრულად დაიკარგა საქართველოში დარჩენილი ნათესავებისათვის.

მოხდა ისე, რომ ყველა გოცირიძეში ჩემს ახლობელ ნათესავს ვხედავ. გავიგონებ თუ არა ამ გვარს, მაშინვე ფიქრებით ვიძირები წარსულში და შეძლებისდაგვარად ვცდილობ აწმყოში გარკვევას. სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს მივაღწიე. დრო კი ულმობლად მიდის და ჩემთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას, ნელ-ნელა ბურუსით ფარავს უამთა განმეოთხავი.

ამ პატარა წიგნის მიზანი კი ის გახლავთ, რომ, იქნებ, რომელიმე შთამომავალი სერიოზულად და ლრმად დაინტერესდეს ამ მართლაც ფერნომენალური ფაქტით და მეტი სინათლე შეიტანოს გოცირიძეთა დიდი ოჯახის წევრთა მოძიებისა და მათი ცხოვრების თუნდაც ფრაგმენტული ასახვის საშვილიშვილო და ისტორიულ საქმეში.

მე კი, ჩემი მხრიდან, ვცდილობ ისტორიას შემოვუნახო დავით გოცირიძისა და მისი შთამომავლების შესახებ დღეისათვის არსებული მწირი ინფორმაცია, ის, რისი მოპოვებაც შევძელი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ წიგნში მოყვანილი მასალები (სახელები, სურათები, თარიღები, ცალკეული ფაქტები და სხვა) დავითის 25-ე შვილს (დედაჩემის ძმას) შალვა გოცირიძეს მიუწოდებია საქართველოს საპატრიარქოსთვის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე და მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მოხერხდა ამ მასალის მზის სინათლეზე გამოტანა.

იმედი მაქვს, მკითხველი, განსაკუთრებით კი გოცირიძეები, ინტერესით შეხვდებიან ამ პატარა წიგნის გამოცემას.

დიდი მადლობა დოდო შალვას ასულ გოცირიძეს წიგნის შექმნის პროცესში აღმოჩენილი უდიდესი დახმარებისათვის.

ქაკატრიარქოს უ ცყვაბანი


N 38



საქართველოს
სააზნურებო
პარმენიონის
მრავალკოდიანი
გამოცემა

6-12 დეკემბერი 2007 ნ. ჩამილება 1999 ნომ 7 ინვიტაცია სახელი 50 თბილი.

უ ცტომა ციან დეკანოზი დავით გოცირიძე 1864-1938



დეკანოზი დავით სვიმონის ძე გოცირიძე 1864 წელს, ქუთაისის გუბერნიაში, რაჭის მაზრის სოფელ წესში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. დაამთავრ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, რის შემდეგაც სწავლა განაგრძო ყაზბინის სასულიერო აკადემიის მისიონერული კურსებზე. 1884-91 წლებში იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის (ქიქოძე) ვუნდში გალობდა. 1888 წლის 29 თებერვალს იმერეთის ეპარქიის კანცელარიაში მწერლდ დაინიშნა. 1891 წლის 15 სექტემბერს ქუთაისის საქათედრო ტაძარში ეპისკოპოსმა გაბრიელმა დიაკვნად აკურთხა და ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ლვითისმსახურად განამწესა. 1893 წლის 28 ოქტომბერს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის


ეკლესიაში გადაიყვანეს. 1896 წლის 26 ოქტომბრიდან – 5 დეკემბრმდე დროებით ასრულებდა იმერეთის ეპარქიის კანცელარიის მდივნის მოადგილის მოვალეობას. 1902 წლის 29 აგვისტოს საქართველოს ეკარკისმა ალექსი I-მა (ოპოცი) მდგდად დასხა ხელ და საროს წმინდა მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად და ახლცევა-ახალქალაქის ოლქის მისიონერად განამწესა. 1905 წლის 4 ივნისს კახეთში, ლიკონკისჭალის სამრევლოში გადაიყვანეს. 1906 წელს ზაქათალის ოლქის (სანგილო) მისიონერად განამწესა. 1911 წლის 27 მაისს ბაისუბნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს და თა-

ვისი თხოვნის საფუძველზე, ამავე წლის აგვისტოში გათავისუფლდა მისონერი მღვდლის მოვალეობისაგან. იგი დასახლდა ლაგოდებში, სადაც 1929 წლამდე ცხოვრობდა. 1914 წლის 6 მაისს კამილავეკით დაჯილდოვდა. 1917 წელს სამკერდე იქროს ჯვარი უბოძეს. 1918 წელს დეკანოზის წოდება მიენიჭა და ზაქათალის ოქტის მთავარსუცესად დაინიშნა. მონანილეობდა 1920 წლის 27 ივნისის და 1921 წლის 1-5 აგვისტოს გამრთულ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის II და III საეკლესიო კრებებზე.

დეკანოზი დავითო საზოგადოებაში, განსაკუთრებით დაბალ ფენებში, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ლაგოდებში, საკუთარ სახლში გახსნილი ჰქონდა უფასო საჯარო ბიბლიოთეკა. გარეგნობით იყო ახოვანი, მჭერმეტყველი, იმდროს საფრთხოების საქმაოდ განათლებული და კარგი გალობის მცოდნე მოძღვარი. იყო იმდენად მზადი და მოსული ადამიანი იყო, რომ ზედმეტ სახელად „დიდ მღვდელს“ ეძახდნენ.

XX საუკუნის 20-იან წლების დასაწყისში სოფელ სვეტების სამრევლის წინამდებარია. 1923 წელს კომუნისტური ხელისუფლების ზენოლის შემდეგ იძულებული გახდა ანაფორა გაეხადა და დვთისმსახურება შეეწყვიტა. ამავე წელს თბილისში საჭირო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ჩარიცხეს დამცველთა კოლეგიაში და მუშაობდა ვერილად ჯერ ლაგოდებში, ხოლო 1929 წლიდან — თბილისში. გარდაიკალა 1938 წელს და დასაფლავებულია კუკის წმინდა წნნოს სახელობის ეკლესიის სახულოოზე.

მამა დავითის ჟყავდა მეუღლე, მარიამ სოლომონის ასული დათიაშვილი, დაბადებული 1872 წელს, რომელმაც მას 27 (!) შეიღი გაუშინა. მრავალშვილინანბის გამო მამა დავითს მიღებული ჰქონდათ მეფის მთავრობისაგან რამოდენიმე მედალი (წინათ ჯილდო ეძლეოდა მამას). მარიამი გარდაცვალ 1940 წელს ქ. თელავში. მათ შიამომავლები კი მრავლად ცხოვრობენ დღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხებში.



1938-1940 წ.წ.

სულ 5 წლის ვიყავი მაშინ. ბავშვობაში ნანახი, სიზმარივით, ბუნდოვნად მახსოვს ის დღე, როდესაც საგანგებოდ შეკრებილი, თელავში მცხოვრები გოცირიძებისა და მათი ახლობელი ნათესავების ოჯახების წევრები, რაღაცნაირი კრძალვით, დამწუხებული სახეებით და დაბალი ხმით უზიარებდნენ ერთმანეთს იმ მძიმე ამბის შესახებ, რასაც დიდი დავითის გარდაცვალება ერქვა (1938). პატარა გახლდით და სრულად ვერ წარმომედგინა მომხდარის ტრაგიკულობა, თუმცა, ის კი ლრმად ჩამრჩა ბავშვურ გულში და გონებაში, რომ აღარ მყავდა პაპა (დედის მხრიდან), დედის, რომელიც 27-ე შვილი გახლდათ გარდაცვლილი დეკანოზის. დავითი გარდაცვალა 74 წლის ასაკში.

მოგვიანებით გავიგე ბევრი რამ, მაგრამ არა ყველაფერი.

მეხსიერებას შედარებით კარგად შემორჩა ბების, ქალბატონ მარიამ დათიაშვილის გარდაცვალების ამბავი (1940). მარიამი თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა 25-ე შვილის, შალვა დავითის ძის ოჯახში, ქალაქ თელავში. იგი დაკრძალულია ქ. თელავის სასაფლაოზე.

ბებია გარდაცვალა 68 წლის ასაკში.

იმ წლინადს მე უკვე შვიდი წლის ვიყავი.

* * *

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. ბევრი რამ შეიცვალა. ჩვენი ქვეყანა ჩაება მეორე მსოფლიო ომში. დადგა საყოველთაო გაჭირვების წლები. ადამიანებს აენენათ ცხოვრება. ზოგი ფრონტზე წავიდა მოხალისედ, ზოგი გაიწვიეს, ზოგმა საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა შექმნილი სიტუაციის გამო, ზოგმა საარსებო წყაროს სხვა რეგიონებში თუ ქალაქებში დაუწყო ძებნა, ზოგი აღარ დაბრუნდა ომიდან, ზოგი ხეიბარი გახდა და ა.შ.

ბევრი ახლობელი ნათესავი დააშორა ერთმანეთს ომის წლებში. ომის დამთავრებისას საქართველოში დავითის დიდი ოჯახის შთამომავალთა სულ სამი ოჯახი იყო: შალვა გოცირიძის (25-ე), ალექსანდრა (შურა) გოცირიძის (26-ე) და თამარ გოცირიძის (27-ე) ოჯახების სახით. ამ ოჯახებში იზრდებოდნენ დიდი დავითის შვილიშვილები: დოდო და დალი (დავითის ასულები) გოცირიძები, ოთარ ჩიქოვანი და ნათელა სანიკიძე, ვახტანგ (თქვენი მონა მორჩილი) და დარეჯან ჭანკოტაძეები.

სად იყვნენ, რამდენი იყვნენ, ან რას საქმიანობდნენ და როგორ ცხოვრობდნენ დიდი დავითის სხვა შთამომავლები – არავინ არ ვიცოდით, არავითარი ცნობები მათ შესახებ არ არსებობდა.

დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი და ორდენებით, მედლებით და ჭრილობით თავის ოჯახს დაუპრუნდა ომგადახდილი, არტილერიის უფროსი ლეიტენანტი შალვა დავითის ძე გოცირიძე, დიდი დავითის 25-ე შვილი.

სწორედ შალვა გოცირიძე (ჩემი ბიძა) გახლდათ ის პიროვნება, რომელმაც შეძლებისდაგვარად მიიკითხ-მოკითხა, მიწერ-მოწერა, მირეკ-მორეკა და შეაგროვა საკმაოდ საინტერესო, თუმცა შედარებით მწირი მასალები თავისი მამის (დიდი დავითის) და თავისი და-ძმის თუ ძმისშვილებისა და დისშვილების შესახებ. როგორც ზემოთ ითქვა, ეს მასალები მან გადასცა საქართველოს საპატრიარქოს ისე, რომ ჩვენ, დიდი დავითის უმცროსი თაობის შთამომავლებმა, არაფერი ვიცოდით ამის შესახებ. ის კი ვიცოდით, რომ შალვა აგროვებდა მასალებს და განაგრძობდა თავისი დიდი ოჯახის წევრების ძებნას.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩემთვის გახდა ცნობილი, რომ შალვა გოცირიძემ მიაგნო „ძაფს“, რომელსაც შეიძლებოდა მივეყვანეთ დიდი დავითის შთამომავლებთან, რამაც საოცარი შეგრძნება დაგვიტოვა საქართველოში მაცხოვრებელ დიდი დავითის შთამომავლებს.

ძებნამ და მონდომებამ თავისი პირველი შედეგები მოგვცა. ვიპოვ-ეთ, მივაგენით....

ჩვენ სხხარულს არ ჰქონდა საზღვარი.

ქვემოთ მოგიყვებით დიდი დავითის ოჯახის წევრების და იმის შესახებ, თუ ვის მივაგენით, სად და როგორ მივაგენით, როგორ გავიცანით ჩვენი უახლოესი ნათესავების გარკვეული ჯგუფი.

* * *

დედაჩემი, თამარ დავითის ასული გოცირიძე გახლდათ თავისი მშობლების 27-ე შვილი.

სულ რაღაც ექვსი წლის ვიყავი, როდესაც იგი გარდაიცვალა, ამიტომ მისგან თითქმის არაფერი ვიცოდი მისი მრავალრიცხოვანი დედმამიშვილების შესახებ, რომლებიც გასული საუკუნის 20-30-იან წლებში (ცხოვრების უკულმართობისა და სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის თუ რეპრესიების გამო) გაფანტულან ყოფილი საბჭოთა კავშირის



27 შვილიდან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ხუთი.



დღემდე უცნობია დანარჩენი 22 შვილის და მათი ოჯახის წევრების
სახელები, პროფესიები და ადგილსამყოფელი.

უსიგრძეგანო ტერიტორიაზე და ევროპის ქვეყნებში. ისე, რომ მათი უმრავლესობის შესახებ დღესაც არაფერი ვიცით: მე (ცცხოვრობ გორში), ჩემმა დამ დარეჯანმა (ცხოვრობს თელავში), ბიძაშვილემა ღოდო გოცირიძემ (მრავალ და-ძმათა შორის ოცდამეხუთის, შალვა გოცირიძის ქალიშვილი) და დეიდაშვილმა, ნათელა სანიკონემ (ოცდამეექვსის, ალექსანდრა (შურა) გოცირიძის ქალიშვილი), რომლებიც ცხოვრობენ თბილისში.

დეიდაჩემისგან (შურა) და ბიძაჩემისგან (შალვა) არაერთხელ მსმენია, რომ დედაჩემი თამარი ყოფილა ყველაზე უფრო საყვარელი შვილი, როგორც ყველაზე უმცროსი და, იმავდროულად, განსაკუთრებული გარეგნული სილამაზით გამორჩეული. როგორც მოგვიანებით გაირკვა, გაფანტულ-გადაკარგული დედმამიშვილების უმრავლესობას სცოდნია ჩემი, როგორც თამარის შვილის არსებობის შესახებ და ისიც კი, რომ სახელად ვახტანგი მქვია.

როგორ გავიცანი ბიძაშვილი

მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნებულმა ბიძაჩემმა, შალვა გოცირიძემ, გადაწყვიტა დაეწყო თავისი ძმებისა და დების და მათი შთამომავლების ძებნა, ადგილმდებარების დადგენა და შესაძლებლობის შემთხვევაში მათი გაცნობა და დაახლოება. გარკვეულ შედეგებს მიაღწია კიდეც – ზოგის საცხოვრებელი ქვეყანა დაადგინა, ზოგის შვილების რაოდენობა და ვინაობა და ა.შ. მოკლედ, ყველანაირად ცდილობდა ბიძაჩემი, რომ აღედგინა უგზო-უკვლიდ გაფანტულ-გადაკარგულ დაძმებთან კავშირები. ძალიან ძნელი აღმოჩნდა საქმე, რადგან არ არსებობდა შესაბამისი საარქივო მასალები – ბევრი რამ გასაიდუმლობული იყო (საზღვარგარეთ გასულებზე) და ბევრიც საერთოდ გამქრალი. სასურველი შედეგის მიღწევა გადაულახავ პრობლემად იქცეოდა, რომ არა ერთი ბედნიერი (მართლაც ბედნიერი) შემთხვევა.

1960-იანი წლების დასასწისში, ბიძაჩემი, შალვა გოცირიძე ოჯახთან ერთად დასასვნებლად ჩასულა ჩრდილოეთ კავკასიაში.

კერძო ბინის დიასახლისმა, როგორც მაშინ დადგენილი წესი მოითხოვდა, მოიმარჯვე ე.წ. „საბინაო წიგნი“, რათა ჩაენერა (რეგისტრაციაში გაეტარებინა) ახალი ბინისდამქირავებლები. წიგნის ფურცელისას, ბიძაჩემს თვალში მოხვედრია გვარი გოცირიძე. შეაწყვეტინა თურმე

დიასახლისს წიგნის ფურცვლა და დეტალურად შეისწავლა ჩანაწერი, რომელიც ადასტურებდა, რომ 1963 წლის აგვისტოს თვეში, ამ სახლში ისვენებდა ალექსანდრე (საშა) ვალერიანის ძე გოცირიძე მეუღლესთან და ორ ქალიშვილთან ერთად. წიგნში მითითებული იყო ქ. მოსკოვის მისამართიც. რაც შეეხება ვალერიანს (ალექსანდრეს მამას), ის უნდა ყოფილიყო ოცდაშვიდ შვილთაგან პირველი, ყველაზე უფროსი – ვალერიან დავითის ძე გოცირიძე.

წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა ბიძაჩემს მას შემდეგ, როცა მიაგნო უფროსი ძმის შვილს, ალექსანდრეს.

გაიბა მიწერ-მოწერა, რამაც დაადასტურა ვარაუდი იმისა, რომ ალექსანდრე იყო ჩემი ბიძაშვილი.

ამ ამბიდან სულ ორიოდ თვეში მომიწია სამსახურებრივი მივლინებით მოსკოვში წასვლამ.

ბიძაჩემმა, შალვა გოცირიძემ, გამატანა წერილი და სხვადასხვა სუვენირები საჩუქრებად. თან წავიღე ასევე ბიძაჩემის არქივში შემონახული რაღაც-რაღაც ქალალდები და საბუთები, ასევე საკმაოდ უხარისხო ფოტოსურათები, რომლებიც დაკავშირებული იყო ზემოთხსენებულ ოცდაშვიდშვილიან ოჯახთან.

ჩავედი მოსკოვში, ვიკითხე სად მდებარეობდა ეიზენშტეინის (ცნობილი კინორეჟისორი) ქუჩა. ამისსნეს, რომ ის ქუჩა იყო მოსკოვის გარეუბანში, კინოსტუდია „მოსფილმისა“ და „სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის“ რაიონში და რომ იქამდე მისასვლელად ყველაზე მოხერხებული იყო მეტროთი სარგებლობა. ისიც მრჩიეს (თითქოს მევერ მოვიფიქრებდი), რომ მეტროდან ამოხვალ თუ არა, იკითხე და ზუსტად გეტყვიან, სად არის შენთვის საინტერესო ქუჩაო.

საკმაოდ დიდხანს ვიმზავრე მეტროს ვაგონით (მაშინ ე.ნ. „დიდი მოსკოვის“ ტერიტორია გადაჭიმული იყო დაახლოებით ას კილომეტრზე. მოსახლეობა კი 5 მილიონზე მეტი გახლდათ) როგორც იქნა გავიგონე რადიოს ხმა – „მეტრო-სადგური ვდნხ“ (სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა).

ესკალატორით ვუახლოვდებოდი დედამიწის ზედაპირს და, რა თქმა უნდა, ჩემი ახლადაღმოჩენილი ბიძაშვილის საცხოვრისს. ათასნაირი ფიქრი ამერია თავში: ნეტავ როგორია, როგორ მიმიღებს, რას ვეტყვი პირველად, რას მიპასუხებს, როგორი მეუღლე ჰყავს ან შვილები და ა.შ. ამოვედი მიწის ზედაპირზე. პატარა ჩემოდანი დავდგი ასფალტზე,

სიგარეტს მოვუკიდე და გარეშემო მიმოვიხედე. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ეს იყო ცნობილი მოქანდაკის ვერა მუხინას 24-მეტრიანი ქმნილება „მუშა და კოლმეურნე ქალი“.

ფიქრი ისევ ბიძაშვილისკენ გამექცა. რაც უფრო ახლოვდებოდა მას-თან შესვედრის მომენტი, მით უფრო ვნერვიულობდი. ვერ წარმომედგინა, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ჩვენი შეხვედრა.

სიგარეტის ნამწვი ურნაში ჩავაგდე, ავიღე ჩემოდანი და ჩემსკენ მომავალ ერთ საკმაოდ სიმპათიურ, მაღალი და ძლიერი აღნაგობის ქერა მამაკაცს ბოდიშის მოხდით ვკითხე:

– გეცოდინებათ, ალბათ, სად არის ეიზენშტეინის ქუჩა?

– კი, როგორ არ ვიცი. გამომყევით, მეც იქით მივდივარ, ოთხასი-ხუთასი მეტრი იქნება...

– სიამოვნებით გამოგყებით-მეთქი და გავყევი.

ჩვენ შორის საკმაოდ თბილი საუპარი გაისა. ხუთოდე წუთის მერე მეკითხება:

– აქცენტზე გეტყობათ, რომ ქართველი ხართ.

– კი, ქართველი ვარ.

– მივლინებაში ხართ თუ ისე, ქალაქის დასათვალიერებლად?

– მივლინებაში ვარ ავტომატიკის ინსტიტუტში, მაგრამ უფრო საინტერესო პირადი საქმეც მაქვს.

– თუ საიდუმლო არ არის, რა პირადი საქმე გაქვთ, შეყვარებული ხომ არ გყავთ ჩვენს ქუჩაზე?..

– როგორ, თქვენ ეიზენშტეინის ქუჩაზე ცხოვრობთ?

– კი, იმ ქუჩაზე ვცხოვრობ, რატომ გაიკვირვეთ ასე? მალე მივალთ და თუ მეტყვით ნომერს, სახლსაც მიგასწავლით...

– მაღლობა, ალბათ, ისედაც შეგაწუხეთ ამდენი საუბრით.

– რა შეწუხება... რაც შემიძლია მზად ვარ დაგეხმაროთ... მაინც, რა პირადი საქმეა ისეთი, რომ არ ამბობთ?!


– ბიძაშვილი ცხოვრობს იმ ქუჩაზე და მინდა ვესტუმრო და გავიცნო...

– როგორ, ბიძაშვილს არ იცნობთ?!

მკითხა ეს, შეჩერდა და დაკვირვებით ამხედ-ჩამხედა.

– კი, არ ვიცნობ, ასე მოხდა...

– ქართველი რომ ხართ, გავიგე; იქნებ მითხრათ, რომელი რაიონი-დან, ან ქალაქიდან და რა გვარია ის თქვენი ბიძაშვილი, იქნებ ვიცნობ კიდეც, რაკი ჩვენ ქუჩაზე ცხოვრობს?!



– მე წარმოშობით ქ. თელავიდან ვარ, ამჟამად ქ. გორში ვცხოვრობ; ჩემი ბიძაშვილი გოცირიძეა, სახელად ალექსანდრე, იგივე საშა...

ამის თქმა იყო და თითქოს მიწა იძრაო, ისე შეტორტმანდა ჩემი გოლიათივით თანამგზავრი... ხელიდან გაუვარდა რაღაც საკვები პროდუქტებით გატენილი ქალალდის დიდი პარკი, ორივე ხელი შემომხვია წელზე და პაერში ამიტაცა.... ხელები ისე ძლიერ შემომასალტა წელზე, რომ ძვლების ჩხაკუნის ხმა გავიგე: – „მოი დარაგო“, „მოი ხაროში“, „ვოტ ტი კაკო, მოი ბრატ“, „სკოლკო ია დუმალ ო ტებე, მოი ვახტანგ“...

გოლიათი მამაკაცი ბავშვივით ტიროდა და სლუკუნებდა. მეც ავტირ-დი მოზღვავებული სიხარულითა და მოულოდნელობით გაოცებული.

გამვლელ-გამომვლელები გაძლიერებული ცნობისმოყვარეობით გვიცერდნენ და მრავალმნიშვნელოვნად ილიმებოდნენ.

იმდენი ვიტირეთ და სიხარულის იმდენი ცრემლი დავლვარეთ, რომ მგონი ეიზენშტეინის ქუჩის დასაწყისს ახლაც ამჩნევია ბიძაშვილ-მამი-დაშვილის საოცარი შეხვედრის კვალი.

ოჯახში მელოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ კონკრეტულად თუ როდის ვესტუმრებოდი. წარმოიდგინეთ რა ამბავი ატყდა ალექსანდრეს ოჯახში, როცა მან კარები შეალო და წარმადგინა. მისი მეულლე ქალბატონი ტონია და შვილები – იგორი და თამარი სიხარულის ცრემლებით დაიღვარნენ. ბავშვები კისერზე მეკიდებოდნენ და სლუკუნებდნენ – „დიადია ვახტანგ“, „დიადენკა“, აი თურმე როგორი ყოფილხარ, მამა სულ თქვენზე ფიქრობს და ოცნებობსო... რა კარგი დღე გაგვითენდა და რა ბედნიერები ვართო.

არც ერთმა მათგანმა არ იცოდა ქართული. რამდენიმე სიტყვა პქონ-დათ დაზეპირებული და წამდაუნუმ იმეორებდნენ თუთიყუშებივით. მერე ატყდა ფუსფუსი და აქეთ-იქით სირბილი. ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, ხელიდან უვარდებოდათ ჭიქა თუ ჩანგალი. სახელდახელოდ გამალეს რუსული სუფრა. ალექსანდრე გავარდა და საიდანლაც მოიტანა რუსული არაყი.

მოკლედ, არნახული და გულისამაჩუყებელი შეხვედრა იყო. ხან რას ვიგონებდით და ხან რას. შეკითხვებს ბოლო არ უჩანდა. ყველაფერი აინტერესებდათ: ვინ ვიყავით და რამდენნი, ვინ რას აკეთებდა, ვის რა სახელი ერქვა და ა.შ.

საჩუქრებად ჩამოვურიგე ქართული სუვენირები. ცრემლს ვერ იკავებდნენ. იგორმა ფანქარი მოიმარჯვა და ცდილობდა თავისი ყველა ქართველი ახლო წათესავის სახელი და გვარი ჩაეწერა.

გავიხარეთ ერთმანეთისთვის უცნობმა ახლო ნათესავებმა...

მაშ ასე – ვიპოვეთ დიდი დავითის პირველი ვაჟის, ვალერიანის შვილი ალექსანდრე (საშა) და მისი ოჯახი.

იმ პერიოდში ალექსანდრე იყო მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის გამგე.

პერი, პერი – დავითისკენ

ალექსანდრე გოცირიძის ოჯახის გაცნობის შემდეგ გამოიკვეთა შესაძლებლობა, რომ შემდეგში, დიდი დავითის შთამომავლების მოძებნაში მივაღწევდით გარკვეულ წარმატებას. სინამდვილეში ასეც მოხდა, რის შესახებაც ქვემოთ მოგიყვებით.

ალექსანდრეს შემდეგ კი იყო მისი ძმა დავით ვალერიანის ძე, რომელიც მოსკოველი ძმის ოჯახის ცნობით, ცხოვრობდა მეუღლესთან და ორ ქალიშვილთან ერთად დასავლეთ უკრაინაში, ვინიცის ოლქის დაბა იამპოლში.

მოსკოვიდან დაბრუნებული ჩავედი თელავში და შალვა დავითის ძე გოცირიძეს (ბიძაჩემს) ჩავაბარე მოსკოვში შეხვედრის და იქ განცდილის „ანგარიში“ და ვახარე დავითის ადგილსამყოფელის მიგნების ამბავიც.

ბიძაჩემი დამპირდა, რომ ტელეფონით დაუკავშირდებოდა დაბა იამპოლს და გაეცნობოდა თავისი ძმისშვილს დავით ვალერიანის ძეს. დავპრუნდი გორში და გავაგრძელე ჩვეულებრივი ცხოვრება იმის მოლოდინში, რომ მალე შედგებოდა ჩემი ვიზიტი დაბა იამპოლში და გავიცნობდი კიდევ ერთ ბიძაშვილს და მის ოჯახს.

მართლაც, სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ დამირეკა ბიძაჩემია შალვამ და მითხრა, რომ დავითთან სატელეფონო საუბარი ჰქონდა და რომ მისი ოჯახი ელოდება ჩემს ჩასვლას. როგორც იტყვიან, სიხარულისგან ფრთებშესმული გავემგზავრე იამპოლისკენ.

ჩავედი კიევში და სასტუმროს ნომრიდან დავრეკე. როდესაც გაიგეს, თუ ვინ ვიყავი, ატყდა ერთი წივილ-კივილი. იცოდნენ ჩემს შესახებ და ბევრი შეკითხვა აღარ დაუსვამთ; მას კი მთხოვდნენ, რომ რაც შეიძლება მალე ჩაგსულიყავი მათანა.

დავითმა ამიხსნა თუ როგორ უნდა ჩავსულიყავი დაბა იამპოლში. მარშრუტი ასეთი იყო – მეორე დღეს 13 საათზე უნდა გავყოლოდი

ალექსანდრა (შურა)
დავითის ასული
გოცირიძე



ოთარ ჩიქოვანი



ნათელა სანიკიძე

თამარ დავითის
ასული გოცირიძე



რევაზ ჭანკოტაძე



ვახტანგ ჭანკოტაძე



დარჯან ჭანკოტაძე

პატარებელს რომელიღაც სადგურამდე (სახელი აღარ მახსოვს), იქიდან კი სამარშრუტო ავტობუსით უნდა მემგზავრა იამპოლამდე. დავითმა გამაფრთხილა, რომ ბოლო ავტობუსი საღამოს შვიდ საათზე გამოდის და ყურადღებით იყავიო.

ვაგონში მყოფთა უმრავლესობა დასავლეთ უკრაინელი იყო და მათ საუბარს ძნელად ვგებულობდი, უფრო კი ვხვდებოდი ცალკეული სიტყვებით, რომლებიც რუსულს ჰქავს.

საკმაოდ ხანგრძლივი მოგზაურობა გამომივიდა. გავიარეთ დაახლოებით 400 კმ. სამწუხაროდ, გზაში შევფერხდით რაღაც ტექნიკური მიზეზების გამო, რამაც გამოიწვია ჩვეული გრაფიკის დარღვევა და დანიშნულ რენიგზის სადგურში ჩავედით დიდი დაგვიზნებით.


გავედი რენიგზის სადგურის მოედანზე და ვიკითხე იამპოლის მიმართულებით მიმავალი ავტობუსის შესახებ. სამწუხაროდ, ბოლო ავტობუსი უკვე გასული იყო და დავრჩი უცხო ქალაქში მარტოდმარტო. გაუგებრობამ და უიმედობამ შემიპყრო, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი.

საღამოვდებოდა. უკაცრიელს ჰქავდა პატარა ქალაქის რენიგზის სადგურის ასევე პატარა მოედანი. არავინ ჩანდა, არსად ტელეფონი, არ-სად საინფორმაციო სამსახური, არსად ხალხი. ვიღაცამ ველიოსიპედით გაიარა, ხელი დავუქნიე, მაგრამ არ შეჩერდა. დრო გადიოდა. აშკარად მაგვიანდებოდა. დაგვიანებას ვინ ჩიოდა, უკვე ბნელდებოდა, რა მექნა, ვისთვის მიმემართა.

შევედი მოსაცდელ დარბაზში, იქ ვიღაც მოხუცი ქალი თვლემდა სკამზე. ვერაფერი გავაგებინე და ვერც მან გამაგებინა რამე. სადგურის მორიგეს მივადექი, მაგრამ ვერაფრით მანუგეშა – ხვალ დილამდე მოგიწევს მოცდაო.

სასონარკვეთილმა ისევ მოედანს მივაშურე. სიბნელეში მოედნის ბოლოში დავლანდე რაღაც მანქანა. თავზე დავადექი მანქანის ქვეშ შემძვრალ მძღოლს, რომელიც რაღაცას უჩინებდა. შევეხმიანე რუსულად, მაგრამ არავითარი რეაქცია არ გამოუხატავს. არ მოვეშვი. ბოლოს, ერთიანად მოთხუპნული გამოძვრა და მყითხა, რა გინდაო.

ვთხოვე იამპოლში წავეყვანე. მან მითხრა, რომ მანქანას თუ გააკეთებდა, მაშინ მოიფიქრებდა. მივეხმარე, გავაკეთეთ, მოვრიგდით და წავედით. საათზე დავიხედე, უკვე საღამოს ცხრა საათი სრულდებოდა. მოთხუპნულმა მძღოლმა მითხრა – ამ ჯაბახანათი სამი საათი მაინც



დაგვჭირდება, თუ საერთოდ არ გაფუჭდა და შუაგზაში არ დაგვტოვაო.

ვნერვიულობდი. დავითის ოჯახი ხომ მელოდა... ასე რომ ვიგვი-
ანებ, რას იფიქრებენ... ადამიანებს ხომ ხშირად აწუხებთ რაღაც ცუდის
მოლოდინი...

ქალაქის გასასვლელთან ორი ქალი დაგვემგზავრა ცარიელი კა-
ლათებით და ჩანთებით. უკანა სავარძელზე მოკალათდნენ და შვებით
ამოისუნთქეს – ღმერთიც გაგახარებთო. დედა-შვილს ჰეგვდნენ.

იამპოლი მაღალმთიანი დასახლებაა. გზა სერპანტინივით მიიკლაკ-
ნებოდა სულ ზევით და ზევით. გამახსენდა ჩაქვის გადასასვლელი.

როცა გაიგეს, რომ გორიდან ვიყავი, საოცრად გამოცოცხლდნენ და
შეკითხვები დამაყარეს. დიდი ცნობისმოყვარეობა გამოიჩინეს.

ვისთან მიდიხარო, მკითხეს. როდესაც უუსსენ დავით გოცირი-
ძესთან-მეთქი, ატყდა ერთი ამბავი. ერთმანეთს არ აცლიდნენ დავითისა
და მისი ოჯახის ქებას: ნამდვილი კაციაო; ჩვენი მფარველიაო; ყველას
უყვარს, ყველა პატივს სცემსო; გაჭირვების ტალკვესიაო და ა.შ.

გამეხარდა. გულში სითბო ვიგრძენი და სიამაყის გრძნობა მომეძა-
ლა. ყოჩალ, ჩემო უცნობო ბიძაშვილო...

მთელი გზა ვსაუბრობდით. ყველაფერი აინტერესებდათ საქართვე-

ლოს შესახებ. მეც ვუყვებოდი და ვუყვებოდი, რაც შემეძლო და როგორც შემეძლო. ლამის გაგიუდნენ, როდესაც გაიგეს, რომ ჩემ პიძაშვილს არ ვიცნობდი.

სუფთა რუსულით საუბრობდნენ მძღოლისგან განსხვავებით, რომელმაც მთელი გზის განმავლობაში სულ სამჯერ თუ თოხჯერ ამოილო ხმა და დაძაბული ხელებით ჩასჭიდებოდა საჭეს.

ლამის თორმეტი საათი ახლოვდებოდა. მანქანა გასცდა დაბურულ ტყის მასივებს, ჩაივაკა და მალევე მიადგა დასახლებულ ადგილს.

დაკვირვებით შევათვალიერე გარემო. აქა-იქ გამოკრთოდა შუქი. ეძინა დაბას. ქალები პირველივე სახლთან ჩამოვიდნენ და დამემშვიდობნენ. ხვალ გინახულებთო. მერე მძღოლს ყურში რაღაც ჩასჩურჩულეს და კალათების ქნევითა და კისკისით მიგვატოვეს მე და გათხუპნული მძღოლი.


ხუთიოდე წუთის შემდეგ მანქანა შეჩერდა ერთსართულინ მოგრძო კოხტა სახლის წინ. შუქი არსად ენთო. მთვარის სხივებით მკრთალად იყო განათებული ყვავილნარით დაფარული წინაზო. გამოკვეთილად ჩანდა ქვაფენილი დაბალი და ლამაზი ჭიშკრიდან სახლამდე.

აი, აქ ცხოვრობს ჩვენი საყვარელი დავით ვალერიანიჩიო, რაღაც-ნაირი ამაღლებული გრძნობით მომმართა მძღოლმა და ძრავა ჩართო.

მორიგების თანახმად გავუწოდე შეპირებული თანხა, მაგრამ „თავი მოიკლა“ და არ გამომართვა. კარგად იყავიო, მითხრა და ღმუილით მოსწყვიტა ადგილს ჯაბახანა „მოსკვიჩი“.

რომელიღაც ფანჯრიდან შუქმა გამოაღწია. როგორც ჩანს მანქანის ხმაურმა ვიღაც გააღვიძა.

ფრთხილად შევალე პატარა კარები და გავუყევი ქვაფენილს. დავაკაკუნე კარზე. შუქი ჩაირთო რამდენიმე ოთახში. ატყდა ჩოჩქოლი და გადაძახილები რუსულ ენაზე. გაიღო კარები და დავითმა თავისი ძლიერი მკლავებით მიმიკრო მკერდზე. შემომეხვივნენ საშინაო ხალათებში ჩაცმული დიასახლისი, ნატა და ორი ქალიშვილი, იზაბელა და თამარი (დედაჩემის კიდევ ერთი მოსახლე). ცრემლებს ბოლო არ უჩანდა. (აღარ მახსოვს ვინ, სად ან როდის მითხრა, რომ დავითს და ნატას ერთმანეთი გაუცვნიათ საკონცენტრაციო ბანაჟში. დავითი დაჭრილი ჩავარდნილა ტყვედ. ნატა თურმე ლამღამობით ჩუმად აკითხავდა დავითს, ჭრილობებს უხვევდა, ამხნევებდა. შეუყვარდათ ერთმანეთი და ერთადაც გაპარულან ბანაკიდან).



იზაბელა და თამარი

ბევრს გელოდეთ, გვეგონა დღეს აღარ ჩამოხვიდოდი და დავი-
შალეთ, ეს-ეს არის სტუმრები სახლებში წავიდნენო – მითხრა ქალბა-
ტონმა ნატამ და გოგოებს რაღაც ანიშნა. დავითმა გამიყვანა საკმაოდ
დიდ სასტუმრო ოთახში, სადაც დაახლოებით ოცდაათ კაცზე იყო გაშ-
ლილი სუფრა. მეზობელი ოთახიდან გვიგონე გოგონების ხმა, ვიღაცას
ტელეფონით ახარეს – ჩამოვიდა, ჩამოვიდაო...

სულ რაღაც ერთ საათში გაივსო დავით გოცირიძის სახლი; მო-
დიოდნენ წყვილ-წყვილად და კენტად. მერე გახდა ჩემთვის ცნობილი,
რომ სტუმართა შორის იყვნენ ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტი-
ულ-სამეურნეო მუშაკები.

დილამდე გაგრძელდა ქეიფი. დავითმა საუცხოო თამადობა გასწია.

მეტად რომ აღარ გამიგრძელდეს, მოკლედ დავამთავრებ ამ ეპი-
ზოდს. სამი დღე დამტოვეს; ყოველდღე მდინარე დნესტრის ნაპირებს
მათვალიერებინებდნენ. ამ სამ დღეში დაბის ყველა მოსახლემ იგემა
დავითის სუფრის მადლი. მათ შორის იყვნენ ის ქალებიც, გზაში რომ
დამემგზავრნენ კალათებით.

აუარებელი საჩუქარი გამომატანეს საქართველოში მცხოვრებ ჯერ კიდევ უცნობ ნათესავებთან.

მოკლე ხანში თელავში ჩავედი და გავახარე ყველა გოცირიძე. ბიძაჩემმა შალვამ გამაცნო თავისი უახლოესი გეგმა – გიორგის (ვალერიანის შვილი) ოჯახსაც მივაგენი და მალე ყველას მოვიპატიუებ თელავშიო, შეგატყობინებ და ჩამოდიო.

ზეიმი თელავში

ბიძაჩემი, შალვა გოცირიძე დიდი პოპულარობით და პატივისცემით სარგებლობდა ერეკლე მეფის ქალაქ თელავის მოსახლეობაში.

ომიდან დაბრუნების შემდეგ იგი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. შემდეგ თავისი ნიჭი და უნარი მიუძღვნა დრამატურგიას (მისი პიესები იდგმებოდა როგორც თელავის, ისე საქართვლოს სხვა ქალაქების თეატრებში). პოლო წლებში კი იყო თელავის თეატრის დირექტორი. ჟყავდა მრავალი მეგობარი და კეთილისმსურველი. იყო ქართული ტრადიციული სუფრის თაყვანისმცემელი და ბრწყინვალედ თამადობდა ვიწრო ახლობლურ წრეში.


მთელმა თელავმა იცოდა იმის შესახებ, რომ იგი შეუპოვრად დაეძებდა დედმამიშვილებს და მათ შთამომავლებს. გაიხარეს, როდესაც გაიგეს, რომ გარკვეული ნარმატებები უკვე მიღწეულ იქნა და გამოთქვამდნენ მზადყოფნას ემასპინძლათ მათვეთ.

ამასობაში თელავიდან შემატყობინეს, რომ კავშირი დამყარდა დიდი დავითის კიდევ ერთი შვილშვილის (გიორგი ვალერიანის ძე გოცირიძე) ოჯახთან.

ბიძაჩემის დიდი მიზნის პირველი მნიშვნელოვანი ეტაპი გადაიღახა, შეიძლება ითქვას, ნარმატებით, თუმცა, საჭირო გახდა რამდენიმე წლის დაძაბული მცდელობა.

თელავიდან მაცნობეს, რომ ყველა ახლადგაცნობილ ნათესავს მალე მოიწვევდნენ და რომ უკვე დაიწყეს შესაბამისი სამზადისი. ხუმრობა არ იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ოცამდე ნათესავის დახვედრა, დაბინავება, გამასპინძლება და ა.შ.

თელაველების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მრავალი ადამიანი



ამოუდგა მხარში შალვა გოცირიძის (დიდი საშვილიშვილი საქმის ორგანიზატორის) ოჯახს და ერთიანი ძალებით ბრნყინვალედ გაართვეს თავი სასიამოვნო მისიას.

თელავს ესტუმრნენ: დიდი დავითის რძალი (ვალერიანის მეუღლე) ქალბატონი ვარვარა, ვალერიანის შვილები – გიორგი, ალექსანდრე და დავითი მეუღლეებით (ტატია, ნატა) და შვილებით (ტატიანა, რეგინა, იგორი, თამარი, იზაბელა, თამარი); გალაკტიონ ვალერიანის ძის შვილი ქსენია მეუღლით (გრეჩო) და შვილებით ალა და იური;

ჩამოსულ შორეულ და უცნობ ნათესავებს დიდი სიხარულითა და საზეიმო განწყობილებით დახვდნენ თელაველი და თბილისელი ნათესავები, ასევე ქალაქის მონინავე ინტელიგენციის ნარმომადგენლები და შალვა გოცირიძის ახლო ნათესავები და მეგობრებ-მეზობლები.

ძნელია აღწერო ის, თუ რა ხდებოდა უცნობი ბიძაშვილ-მამიდა-შვილებისა და მათი შთამომავლების შეხვედრისას. ის დღეები იყო მართლაც ისტორიული გოცირიძეების გვარის წარმომადგენლებისა და

ასევე მათი მონათესავე ოჯახების წარმომადგენლებისთვის.

რამდენიმე დღე გრძელდებოდა თელავის ლირსშესანიშნაობების, ის-ტორიული ძეგლების, კულტურული ცენტრების, მუზეუმების გაცნობა-და-დათვალიერება, რაც ყოველდღე მთავრდებოდა ქართული სუფრის მაღლით. გაიხარეს ერთმანეთის გაცნობით, მოფერებით და ჩახუტებით როგორც მასპინძლებმა და სტუმრებმა, ისე გოცირიძების მონათესავე ოჯახებმა და მეგობრებმა.

სტუმრები აღტაცებულები იყვნენ წინანდლის ა. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმით, ალავერდით, შეამთით, ნეკრესით, გრემით, ნადიკვარით, ერეკლე მეფის სასახლით და ა.შ.

სტუმრები მოიხიბლნენ კახელების პირდაპირობით, გულუხვობით, სტუმართმოყვარეობით და განსაკუთრებით მრავალხმიანი სიმღერებით. საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ორიგინალურმა კახურმა იუ-მორმაც.


სამწუხაროდ სწრაფად გაირბინა რამდენიმე დღემ და დადგა გამომშვიდობების არანაკლებ ემოციური უამიც. იყო ცრემლიც, ხელების დაქნევაც, ფოტოს გადაღებაც, მისამართების და ტელეფონების დაზუსტებაც, ხევევნა-კოცნაც და სამომავლო კეთილი სურვილებიც.

ასე დამთავრდა ბიძაჩემის, შალვა გოცირიძის (დიდი დავითის 25-ე შვილის) საშვილშვილო საქმის ერთი ეტაპი.

მომავალში უფრო საინტერესო შეხვედრები იყო მოსალოდნელი, მაგრამ შალვა გოცირიძის უდროოდ გარდაცვალებამ და ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლამ მნიშვნელოვნად შეასუსტა შორეულ ნათესავებთან კომუნიკაციის შესაძლებლობები და, ფაქტობრივად, თითქმის შეწყდა ურთიერთპოვნისა და ნანატრი შეხვედრების პროცესი.

იმედია, რომ დიდი დავით გოცირიძის დღევანდელი შთამომავლები მეტი მონდომებით და ეფექტურობით გააგრძელებენ შალვა დავითის ძე გოცირიძის მიერ დაწყებულ ურთიერთმოქებნის საშვილიშვილო საქმეს.

ჯერი თქვენზეა, მომავალო თაობავ.



დალი შალვას
ასული გოცირიძე



დავით ოთარის ძე ალხანიშვილი

ვახტანგ რევაზის
ძე ჭანკოტაძე



დევი ჭანკოტაძე



რევაზ ჭანკოტაძე

დიდი დავითის შვილთაშვილების შვილები



ერეკლე დავითის ძე
ალხანიშვილი



თამარ დავითის ასული
ალხანიშვილი



ნინო დავითის ასული
ალხანიშვილი



ანა დევის ასული
ჭანკოტაძე



ირინე რევაზის ასული
ჭანკოტაძე



ანა ალექსანდრეს
ასული საანიშვილი

დიდი დავითის შვილთაშვილის შვილიშვილი




თემურ
იორაშვილი


შეხვედრა-დამშვიდობების ამსახველი ფოტოები












დამატებითი ცნობები

- გალაკტიონ დავითის ძე გოცირიძე – ოფიცერი, არტილერისტი;
- შალვა დავითის ძე გოცირიძე – ოფიცერი, არტილერისტი, მრავალი სამხედრო ჯილდოს კავალერი, დრამატურგი;
- ალექსანდრა (შურა) დავითის ასული გოცირიძე – დიასახლისი;
- თამარ დავითის ასული გოცირიძე – ტექნიკური მუშაკი;
- ალექსანდრე ვალერიანის ძე გოცირიძე – მოსკოვის კინემატოგრაფის ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის გამგე;
- გიორგი ვალერიანის ძე გოცირიძე – ქ. გორკის ავტოქარხნის ყოფილი დირექტორი;
- დავით ვალერიანის ძე გოცირიძე – სამურნეო დარგის დამსახურებული მუშაკი. ამჟამად მისი ოჯახი ცხოვრობს კიევთან ახლოს ქალაქ ბოიარკაში;
- დოდო შალვას ასული გოცირიძე – ლიტერატორი, პენსიონერი, ცხოვრობს თბილისში;
- დალი შალვას ასული გოცირიძე – ლიტერატორი;
- ოთარ ჩიქოვანი (ალექსანდრა (შურა) დავითის ასულის შვილი); უმცროსი ლეიტენანტი. არ დაპრინცებულა მეორე მსაფლიო ომიდან.
- ნათელა სანიკიძე – ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი, ამჟამად პენსიონერი, ცხოვრობს თბილისში;
- ვახტანგ ჭანკოტაძე – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი. ამჟამად პენსიონერი, ლირსების მედლის კავალერი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, გორის საპატიო მოქალაქე, 30-მდე წიგნის ავტორი;
- დარევან ჭანკოტაძე – ლიტერატორი, თელავის პირველი სკოლის დირექტორი 15 წლის განმავლობაში. პოეტი, დრამატურგი, ლირსების ორდენის კავალერი, მრავალი კონკურსის ლაურეატი;
- მაგდა საანიშვილი – მუშაობს თბილისში, უორდანიას სახელობის სამედიცინო ცენტრში;
- ალექსანდრე (ალექს) საანიშვილი – მექანიკოს-მათემატიკოსი;
- დავით ოთარის ძე ალხანიშვილი – მცირე ბიზნესის მენეჯერი;
- დევი ჭანკოტაძე – თადარიგისის გენერალ-ლეიტენანტი, არტილერისტი, უამრავი მაღალი ხარისხის საბრძოლო ორდენისა და მედლის კავალერი;
- რევაზ ჭანკოტაძე – სამხედრო მაიორი. ზურგის სამსახურის სპეციალისტი;
- ანა ჭანკოტაძე – ნატოსთან და ევროკავშირთან ურთიერთობების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
- ირინე ჭანკოტაძე – სკოლის მოსწავლე;
- თემურ იორამაშვილი – სკოლის მოსწავლე.



ვახტანგ ჭანკოტაძე დაიბადა ქ. თელავში 1933 წელს. აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედლით.

თბილისის უნივერსიტეტის (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი) დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე (ლაბორანტიდან სწავლულ მდივნამდე), ასევე რამდნიმე სამრეწველო ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. ავტორია ათეულობით სამეცნიერო შრომისა და გამოგონების, ასევე ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის.

გამოცემული წიგნები: „ბედისწერა“ (რომანი), „ლეგენდები“ (ლექსები), „გენერალი გორიდან“ (მონოგრაფია), „ბოლო ვაგონის ლექსები“, „მხარული რითმები“, „ინარეთ“ (საბაზეო ლექსები), „ხსოვნის წიგნი“ (ოთხ ნაწილად), „სითბო ჩემკენ და ჩემგან“ (ლექსები), „კიბის 75 საფეხური“, „აღმასა“ (მოთხრობები, ნოველები), „აჯაფსანდალი“, „მინიატურების აღლუმი“, „ტელეპათიური თავგადასავლები“, „იგავ-არაკები“, „მტევნის ნაჟური“ (ლექსები), „ნოსტალგია“ (ლექსები, ნოველები), „პუბლიცისტიკა“, „აბა გამოიცანი“ (საბავშვო ლექსები), „თიკუნები“, „გველების სასაფლაო“, „როგორ გავზარდოთ მოგების შანსი“, „ბერმუბა“, „კვლევითის“ დირექტორები“, „მესამე გზა“, „27 შვილის მამა“.